არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული
პირის წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. საქართველოს უძრავი ქონების ეროვნული ასოციაცია არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (შემდგომ – ასოციაცია), რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.
1.2. წინამდებარე წესდება წარმოადგენს ასოციაციის სადამფუძნებლო დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს ასოციაციის საქმიანობის, გადაწვეტილებების მიღების, ასოციაციის მმართველობის ორგანოების შექმნისა და უფლებამოსილების განხორციელების წესს.
1.3. ასოციაცია წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ არაკომერციულ იურიდიულ პირს, რომელიც ემსახურება საქართველოში უძრავი ქონების საშუამავლო/საბროკერო/სამაკლერო ბიზნესის განვითარებასა და ხელშეწყობას. ამ სფეროში მაღალი ხარისხის და სანდო რეპუტაციის მქონე მომსახურების სტანდარტის შემოღება/დანერგვასა და საბროკერო საქმიანობის (უძრავი ქონების აგენტის პროფესიის) პოპულარიზაციას.
1.4. აღნიშნულ ასოციაციას იურიდიული პირის სტატუსი შეძენილი აქვს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. ასოციაცია შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.
1.5. ასოციაცია დამოუკიდებელია მისი წევრებისგან, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებისგან. ასოციაციის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით.
1.6. ასოციაციის ვალდებულებებისათვის მისი დამფუძნებელი, წევრები, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასოციაცია პასუხს არ აგებს თავისი დამფუძნებლების, წევრების, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ვალდებულებებისთვის.
1.7. ასოციაცია ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციულ) საქმიანობას, ამავდროულად ის უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული ამონაგებიც უნდა მოხმარდეს მისი მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ასოციაციის დამფუძნებლებს, შემომწირველებს, აგრეთვე, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შორის დაუშვებელია. 1.8. ასოციაციას გააჩნია განცალკევებული ქონება, შეუძლია თავისი სახელით გამოვიდეს სამართლებრივ ურთიერთობებში, შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და იკისროს მოვალეობები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, არბიტრაჟსა და მედიაციის პროცესზე.
1.9. ასოციაციას თავისი მიზნების მისაღწევად უფლება აქვს განახორციელოს კანონით ნებადართული ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული.
1.10. ასოციაციას შესაძლოა გააჩნდეს საბანკო ანგარიშები, ბეჭედი, საქმიანი თავფურცელი და შტამპი.

მუხლი 2. საქმიანობის მიზანი

2.1. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ასოციაცია დაფუძნებულია შემდეგი მიზნების მისაღწევად:

ა. საბროკერო საქმიანობის განვითარება;
ბ. საბროკერო საქმიანობის განმახორციელებელთა უფლებების, პროფესიული თავისუფლების, ინტერესების და დამოუკიდებლობის დაცვა;
გ. საბროკერო საქმიანობის განმახორციელებელთა საქმიანობაში, ფინანსური უზრუნველყოფის უსაფრთხოების პირობების შექმნა და დაცვა;

დ. პროფესიული განათლების ხელშეწყობა და კვალიფიკაციის ამაღლება;
ე. საბროკერო საქმიანობის განმახორციელებელთა იურიდიული, საკონსულტაციო და ტექნიკური მხარდაჭერა, ხელშეწყობა;
ვ. პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის უზრუნველყოფა;
ზ. საზოგადოებაში საბროკერო საქმიანობის განმახორციელებელთა მიმართ ნდობის და რეპუტაციის

ამაღლება.

2.2. ასოციაცია უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალულისაქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 3. ასოციაციის წევრობა

3.1. ასოციაციას ჰყავს სრულუფლებიანი წევრები და ასოცირებული წევრები.

3.2. ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი და როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირი, რომელიც იზიარებს საზოგადოების საქმიანობის მიზნებსა და პრინციპებს. ასოციაციის სრულუფლებიანი და ასოცირებული წევრობა არ გადადის მესამე პირებზე.

3.3. პირის ასოციაციის სრულუფლებიან წევრად ან ასოცირებულ წევრად მიღებაზე, წევრობის შეჩერებასა და მის გარიცხვაზე გადაწყვეტილებას იღებს მმართველთა საბჭო, ამ წესდებით დადგენილი წესით.

3.4. თითოეული სრულუფლებიანი წევრი და ასოცირებული წევრი იურიდიული პირი ასოციაციის მმართველთა საბჭოს წარუდგენს ასოციაციაში მისი ორი წარმომადგენლის სახელსა და მონაცემებს. 3.5. ასოციაციის სრულუფლებიან წევრ იურიდიულ პირს შეუძლია დაასახელოს მმართველთა საბჭოს წევრად მისი წარმომადგენელი, ხოლო ასოციაციის ფიზიკურ პირ/ინდივიდუალურ მეწარმე სრულუფლებიან წევრებს შეუძლიათ მმართველთა საბჭოს წევრად წამოაყენონ საკუთარი კანდიდატურა.

3.6. ასოციაციის სრულუფლებიან წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საერთო კრებაში. 3.7. ასოციაციის სრულუფლებიანი წევრობის დატოვების შემთხვევაში, პირს ავტომატურად უწყდება მმართველთა საბჭოს წევრობა ან ასოციაციაში დაკავებული ნებისმიერი თანამდებობა. 3.8. ასოციაციის სრულუფლებიანი წევრობისა და ასოცირებული წევრობის შეწყვეტა ხდება: ა. წევრი იურიდიული პირის ლიკვიდაციით;

ბ. წევრი ფიზიკური პირის გარდაცვალებით;

გ. წევრის საკუთარი განცხადების საფუძველზე (ნებაყოფლობით); ან

დ. წინამდებარე წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, წევრის გარიცხვით. 3.9. ასოციაციის სრულუფლებიანი წევრობისა და ასოცირებული წევრობის გარიცხვის საფუძველია: ა. წესდების, ეთიკის კოდექსისა და/ან ასოციაციის შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა;

ბ. წევრობის მიზნით ასოციაციისთვის არასწორი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარდგენა; გ. ასოციაციის ან მისი ცალკეული წევრის (როგორც სრულუფლებიანი, ისე ასოცირებული) რეპუტაციის შემლახველი ქმედების განხორციელება;

დ. ასოციაციის შინაგანაწესითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

3.10. მმართველთაა საბჭო უფლებამოსილია, ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი გარიცხოს ასოციაციიდან საწევრო შენატანის გადახდის ვადის ზედიზედ 3 (სამი) თვით გადაცილების შემთხვევაში.

3.11. ასოციაციიდან ნებაყოფლობით გასვლა დაიშვება ნებისმიერ დროს, მმართველთა საბჭოსთვის წერილობითი ფორმით მიმართვის საფუძველზე. ასოციაციის დატოვებამდე სრულუფლებიანი და ასოცირებული წევრი ვალდებულია სრულად შეასრულოს მის მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულება, მათ შორის, ფინანსური ვალდებულებები. აქვე, კონკრეტდება, რომ სრულუფლებიანი წევრის მიერ წინასწარ გადახდილი საწევრო უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

3.12. ასოციაციას ასევე შესაძლოა ჰყავდეს ასოცირებული წევრი, რომელიც არ სარგებლობს

სტანდარტული, სრულუფლებიანი წევრის სტატუსით და შესაბამისად, არ მონაწილეობს საერთო კრების საქმიანობაში.

3.13. ასოცირებული წევრი შესაძლოა იყოს ნებისმიერი პირი, ფიზიკური თუ იურიდიული, ვისი ძირითადი საქმიანობაც არ არის საბროკერო საქმიანობა, თუმცა დაინტერესებულია ამ სფეროში მოღვაწეობით და სურს თავისი წვლილი შეიტანოს სფეროს განვითარებაში.

3.14. ასოციაციის ასოცირებულ წევრს არ აქვს საერთო კრებაში მონაწილეობის და კენჭისყრის დროს ხმის მიცემის უფლება.

მუხლი 4. წევრთა საერთო კრება

4.1. ასოციაციის მმართველ ორგანოებს წარმოადგენს წევრთა საერთო კრება და მმართველთა საბჭო. 4.2. საერთო კრებაზე დასწრების და გადაწყვეტილებების მიღების უფლება აქვთ ასოციაციის სრულუფლებიან წევრებს.

4.3. წევრთა საერთო კრება იკრიბება სულ მცირე წელიწადში ერთხელ.

4.4. მორიგი ან რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის უფლება აქვს ასოციაციის მმართველთა საბჭოს სულ

მცირე 2 წევრს, პრეზიდენტს ან/და ასოციაციის სრულუფლებიან წევრთა 1/5- ს. 4.5. ასოციაციის წევრთა საერთო კრების მოწვევა და ჩატარება ფინანსდება „ასოციაციის“ სახსრებიდან. 4.6. წევრთა საერთო კრების უფლებამოსილებებია:

ა. ასოციაციის მმართველთა საბჭოს და ეთიკის კომისიის წევრთა არჩევა/გამოწვევა; ბ. ასოციაციის პრეზიდენტის არჩევა და თანამდებობიდან გათავისუფლება;

გ. ასოციაციის წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებისა და დამატებების შეტანა; დ. პროფესიული ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების დამტკიცება;

ე. მმართველთა საბჭოს და ეთიკის კომისიის მიერ წარდგენილი ყოველწლიური ანგარიშის დამტკიცება.

4.7. ასოციაციის სრულუფლებიან წევრებს აქვთ საერთო კრებაზე ერთი ხმის უფლება. ხმის მიცემის უფლება შეიძლება შეეზღუდოთ ასოციაციის იმ წევრებს, რომელთაც სრულად ან ნაწილობრივ არ აქვთ გადახდილი საწევრო შენატანი. აღნიშნული შეზღუდვის შესახებ წინასწარ უნდა იყოს მითითებული კრებაზე მოსაწვევში.

4.8. ასოციაციის წევრთა (როგორც ასოცირებული, ისე სრულუფლებიანი) რაოდენობა ცვალებადია და არ საჭიროებს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას. ასოციაციის წევრთა (როგორც ასოცირებული, ისე სრულუფლებიანი) რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელია მმართველთა საბჭო.

4.9. წევრთა საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება სრულუფლებიან წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, კრების მომწვევმა პირმა უნდა მოიწვიოს განმეორებითი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება სრულუფლებიან წევრთა მესამედი. კრების მომწვევს შეუძლია მესამედ მოიწვიოს კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია მასზე დამსწრე პირების რაოდენობის მიუხედავად.

4.10. კრებაზე დასწრება შესაძლებელია პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით, ადგილზე ან ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, დისტანციურად. კრებაზე დასწრების წარმომადგენლობის უფლებამოსილება შესაძლოა წარმომადგენელზე გადაიცეს წერილობითი ფორმით. წერილობითი ფორმა გულისხმობს მათ შორის და არა მხოლოდ, ხელმოწერილ მინდობილობას ან ელექტრონული ფოსტის გამოყენებით გაცემულ მინდობილობას. მინდობილობის ელექტრონული ფოსტის გამოყენებით გაცემის შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტა უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: info@gnare.ge და მიეთითოს წევრის საიდენტიფიკაციო მონაცემები, ის, რომ სურს კონკრეტულ სხდომაზე წარმოდგენილი იყოს წარმომადგენლის მეშვეობით და წარმომადგენლის მონაცემები. წარმომადგენელი შესაძლოა ასევე იყოს ასოციაციის სხვა სრულუფლებიანი წევრიც. ერთ პირს შეუძლია ერთდროულად წარმოადგინოს არაუმეტეს ასოციაციის სამი წევრი (საკუთარი თავის გარდა).

4.11. კრებაზე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ განსახილველ საკითხს მხარს დაუჭერს დამსწრეთა ნახევარზე მეტი, გარდა მმართველთა საბჭოს წევრთა და პრეზიდენტის

არჩევისა. მმართველთა საბჭოს წევრთა და პრეზიდენტის არჩევაზე საერთო კრების მიერ გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით - რაც, ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ნიშნავს შემდეგ წესს: მმართველთა საბჭოს წევრად და პრეზიდენტად აირჩევა კანდიდატი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას.

4.12. საერთო კრების მსვლელობისა და გადაწყვეტილებების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საერთო კრებაზე არჩეული კრების თავმჯდომარე და მდივანი (თუკი კრებაზე არჩეული იქნება მდივანი).

4.13. საერთო კრება ტარდება მისი მოწვევის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნებიდან სულ ცოტა 7 (შვიდი) კალენდარული დღის შემდეგ. ამასთან, საერთო კრების მოწვევის ინიციატორი დამატებით უზრუნველყოფს კრების მოწვევის თაობაზე შეტყობინების სრულუფლებიანი წევრებისთვის მიწოდებას ელექტრონული კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ შეტყობინების მიღების დადასტურების შესაძლებლობას. საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნებად მიიჩნევა კრების მოწვევის თაობაზე ინფორმაციის მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიანი ელექტრონული პორტალის სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე განთავსება. მოსაწვევი უნდა შეიცავდეს საერთო კრების სხდომის დღის წესრიგს. კრების თაობაზე შეტყობინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ასოციაციის სრულუფლებიან წევრებს შეუძლიათ დღის წესრიგში დამატებების შეტანა. საერთო კრების ჩატარების ადგილი და დრო გაუმართლებლად არუნდა ზღუდავდეს სხდომაში ასოციაციის სრულუფლებიანი წევრის მონაწილეობის უფლებას.

4.14. საერთო კრების სათანადოდ მოწვევასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელია კრების მომწვევი პირი/პირები. საერთო კრების მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა ასოციაციის ყველა წევრისა და ორგანოსათვის. 4.15. საერთო კრების ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა. ასოციაციის საფირმო სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ. სხდომის ჩატარების ადგილი და თარიღი;

გ. მითითება კრების მოწვევის პროცედურის დაცვასა და მის გადაწყვეტილებაუნარიანობაზე; დ. სხდომის თავმჯდომარის და მდივნის (ასეთის არჩევის შემთხვევაში) საიდენტიფიკაციო მონაცემები;
ე. საერთო კრების სხდომის დღის წესრიგი, გადაწყვეტილება, კენჭისყრის შედეგების მითითებით.

4.16. წევრთა საერთო კრების მოწვევის დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია, თუ კრებას ყველა სრულუფლებიანი წევრი ესწრება და ისინი თანახმა არიან კრების ჩატარებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე. სრულუფლებიანი წევრის თანხმობად მიიჩნევა, თუ იგი არ მოითხოვს წევრთა საერთო კრების სხვა დროს ჩატარებას მისი მოწვევის პროცედურის დარღვევის გამო.

მუხლი 5. ასოციაციის მართვა, მმართველთა საბჭო

5.1. მმართველთა საბჭოს სხდომა ტარდება სულ მცირე თვეში ერთხელ. მმართველთა საბჭო შესაძლოა შეიკრიბოს და სხდომა ჩაატაროს ნებისმიერი ინტენსივობით, საჭიროების შესაბამისად, ყველა იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც არის მმართველთა საბჭოს მიერ განსახილველი და შედის ასოციაციის ინტერესებში.
5.2. მმართველთა საბჭო შედგება არჩეული 5 (ხუთი) წევრისგან. წევრები აირჩევა საერთო კრების მიერ, ფარული კენჭისყრით, 2 (ორი) წლის ვადით.
5.3. მმართველთა საბჭოს წევრთა არჩევა მოხდება როტაციის პრინციპით, კერძოდ, წევრთა არჩევნები ჩატარდება ყოველ წელს და რიგ-რიგობით მოხდება ხან სამი და ხან ორი წევრის არჩევა, იმის მიხედვითთუ შესაბამის წელს რამდენ წევრს ეწურება ვადა. წინამდებარე წესდების დამტკიცების შემდგომ, პირველი არჩევნები იქნება გამონაკლისი, რადგან მმართველთა საბჭოს 2 (ორი) წევრი აირჩევა და თანამდებობაზე დაინიშნება 2 (ორი) წლის ვადით, ხოლო 3 (სამი) წევრი - 3 (სამი) წლის ვადით.

5.4. მმართველთა საბჭოს მაქსიმუმ ორი წევრის საბჭოდან გასვლის შემთხვევაში, მმართველთა საბჭო ფუნქციონირებას აგრძელებს დარჩენილი შემადგენლობით შემდგომ არჩევნებამდე. მმართველთა საბჭოში ლუწი შემადგენლობის დარჩენისას, ხმათა გაყოფის შემთხვევაში, ასოციაციის პრეზიდენტს ენიჭება უფლებამოსილება ისარგებლობს ხმის უფლებით და მიიღოს მონაწილეობა მმართველთა საბჭოს საქმიანობაში, ასოციაციის საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით.
5.5. მმართველთა საბჭოს სამი ან მეტი წევრის საბჭოდან გასვლის შემთხვევაში, ინიშნება ხელახალი არჩევნები.
5.6. მმართველთა საბჭოს წევრობაზე თითო კანდიდატის დასახელების უფლება აქვთ, ასოციაციის სრულუფლებიან წევრ პირებს.
5.7. თუ ვერ იქნა წარმოდგენილი საკმარისი რაოდენობის კანდიდატურა, კრებაზე ნებისმიერს ეძლევა უფლებამოსილება კანდიდატურად წარადგინოს საკუთარი თავი. ხოლო თუ ამ შემთხვევაშიც არავინ წარადგენს კანდიდატურას, უფლებამოსილება ენიჭება ბორდის იმ წევრს, რომელსაც წინა არჩევნებში მიღებული აქვს ყველაზე მეტი ხმა.
5.8. არჩევნებში კანდიდატურის მოხსნის შემთხვევაში შეტყობინება უნდა მოხდეს საერთო კრების სხდომამდე არა უგვიანეს 3 კალენდარული დღისა.
5.9. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
ა. უნდა იყოს 28 (ოცდარვა) წლის ასაკს მიღწეული პირი;
ბ. უნდა ჰქონდეს სულ მცირე ბაკალავრის ხარისხი;
გ. უნდა იყოს ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი მინიმუმ 18 (თვრამეტი) თვის განმავლობაში და არ უნდა ჰქონდეს საწევრო დავალიანება;
დ. სრულყოფილად უნდა ფლობდეს ქართულ ენას;
ე. უნდა ჰქონდეს მინიმუმ 3 (სამი) წლიანი გამოცდილება საბროკერო სფეროში; ვ. უნდა ჰქონდეს ორგანიზაციის მართვის გამოცდილება;
ზ. უნდა იყოს დადებითი რეპუტაციის მქონე;
თ. ორმაგი მოქალაქეობის ფლობის შემთხვევაში, სავალდებულოა პირი დაბადებული იყოს საქართველოში და ბოლო 3 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობდეს საქართველოს ტერიტორიაზე;
ი. ევროკავშირის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე, რომელიც ბოლო 3 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობს საქართველოში;
კ. ზედიზედ 2-ზე მეტი ვადით არ უნდა იყოს არჩეული.

5.10. კანდიდატურის წარდგენისას არ უნდა იყოს სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი ან ჩართული

სისხლისსამართლებრივი დავის პროცესში ბრალდებულის სტატუსით. 5.11. დასახელებულმა კანდიდატმა ასოციაციის პრეზიდენტს უნდა წარუდგინოს განცხადება მმართველთა საბჭოს წევრად დასახელების თაობაზე, რომელიც შეიცავს სამოტივაციო წერილს, ორგანიზაციის განვითარების ხედვას, ავტობიოგრაფიას და ფოტოსურათს. მმართველთა საბჭოს წევრებად დასახელებული პირების განაცხადები შესაძლებელია კრებამდე გასაცნობად გაეგზავნოს წევრებს კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით.

5.12. მმართველთა საბჭოს ნებისმიერი წევრი, შესაძლოა განმეორებით ვადით იქნეს არჩეული/დანიშნული. თუ ვადის ამოწურვის შემდეგ კანონით დადგენილი წესით არ განხორციელდება მმართველთა საბჭოს წევრის ახალი ვადით დანიშვნა ან მისი ცვლილების რეგისტრაცია, რეგისტრირებული წევრის უფლებამოსილება გაგრძელებულად მიიჩნევა მანამ, ვიდრე არ მოხდება ახალი მმართველთა საბჭოს წევრის არჩევა.

5.13. მმართველთა საბჭოს სხდომის ჩატარების ინიციატორი შესაძლოა იყოს როგორც საბჭოს ერთი, ისე რამდენიმე წევრი. მმართველთა საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. სხდომაზე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ განსახილველ საკითხს მხარს დაუჭერს დამსწრეთა ნახევარზე მეტი.

5.14. მმართველთა საბჭოს სხდომის ჩატარების ინიციატორი პირი განსაზღვრავს სხდომის ჩატარების წესს, რაშიც იგულისხმება როგორც ფიზიკურად შეხვედრა, ასევე შეხვედრა ელექტრონული საშუალებით. ასევე დასაშვებია, განხორციელდეს სხდომის ვიდეო კონფერენციის გზით ჩატარება ან/და სხდომის ტრანსლირება. გადასაწყვეტ საკითხზე ხმის მიცემისას

ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების შემთხვევაში,უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა და ელექტრონული კომუნიკაციის სისტემის უსაფრთხოება, რისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება სხდომის ინიციატორ პირს/პირებს.

5.15. მმართველთა საბჭოს სხდომის მსვლელობისა და გადაწყვეტილებების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ კრებაზე დამსწრე საბჭოს წევრები.

5.16. მმართველთა საბჭოს სხდომის შესახებ წევრთა სათანადოდ ინფორმირებასა და სხდომის ჩატარებაზე პასუხისმგებელია სხდომის ჩატარების ინიციატორი პირი/პირები. მმართველთა საბჭოს მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა ასოციაციის ყველა წევრისა და ორგანოსათვის.

5.17. მმართველთა საბჭოს სხდომას ორგანიზაციული თვალსაზრისით წარმართავს, წევრთა მიერ კონკრეტული სხდომის მიზნებისთვის, ერთჯერადად არჩეული სხდომის თავმჯდომარე. სხდომის მიმდინარეობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ დგება მმართველთა საბჭოს სხდომის ოქმი. ამ ოქმის სისწორისა და სრულყოფილებისთვის პასუხისმგებელია მმართველთა საბჭოს სხდომის თავმჯდომარე.

5.18. მმართველთა საბჭოს კომპეტენციას/უფლებამოსილებებს განეკუთვნება შემდეგი საკითხები: ა. ასოციაციის კოლეგიურად ხელმძღვანელობა;

ბ. ასოციაციის ახალი წევრების (როგორც ასოცირებული, ისე სრულუფლებიანი) მიღების, ასოციაციიდან წევრის გარიცხვის ან/და წევრობის შეჩერების კრიტერიუმების განსაზღვრა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება;

გ. ასოციაციის საწევრო შენატანის განსაზღვრა და შეცვლა;

დ. ასოციაციის მიზნებიდან გამომდინარე, ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ე. ასოციაციის მიერ ვალდებულების აღება/გაცემა და სხვა ნებისმიერი გარიგების დადება, რომლის ღირებულებაც აღემატება ასოციაციის წლიური ბიუჯეტის 10%-ს, ქონების შეძენა/გასხვისება/უფლებრივად დატვირთვა;

ვ. ასოციაციის კომიტეტების შექმნა/გაუქმება და ამ კომიტეტების თავმჯდომარეთა დანიშვნა და გათავისუფლება კომიტეტის წევრთა უმრავლესობის წარდგინებით;

ზ. ასოციაციის წლიური ბიუჯეტის დამტკიცება, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით და მისი კონტროლი;

თ. ასოციაციის სტრუქტურისა და სხვა ნორმატიული აქტების დამტკიცება;

ი. ასოციაციის საერთო კრების და ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფა;

კ. ასოციაციის წევრთა (როგორც ასოცირებული, ისე სრულუფლებიანი) საერთო სიის შედგენა და მასში ცვლილებების შეტანა/გამოქვეყნება;

ლ. საბროკერო კომპანიების რეესტრის წარმოება;

მ. საბროკერო კომპანიებისთვის ეთიკის კოდექსის, როგორც ძირითადი სამუშაო მარეგლამენტირებელი დოკუმენტის გაცნობა/აღიარების პროცესის ორგანიზება; ნ. საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული საკვალიფიკაციო გამოცდის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე

ჩატარების კოორდინირება და საბროკერო საქმიანობასთან დაკავშირებული საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და საგამოცდო პროგრამის დამტკიცება; ო. ასოციაციის საქმიანობის წესის დამტკიცება და „ასოციაციის“ სრულუფლებიან წევრთა სავალდებულო განგრძობადი განათლების ორგანიზება;

პ. პროფესიული ადაპტაციის პროგრამისა და მისი შესრულების წესის დამტკიცება და მისი განხორციელების ორგანიზება;

ჟ. საერთო კრებისათვის ასოციაციის წესდების პროექტისა და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე წინადადებების წარდგენა;

რ. საერთო კრებისათვის პროფესიული ეთიკის კოდექსის პროექტისა და მასში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ წინადადების წარდგენა, ასევე საბროკერო საქმიანობის განმახორციელებლების დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების პროექტის წარდგენა და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე წინადადების წარდგენა;

ს. ასოციაციის ორგანიზაციული სტრუქტურის, საშტატო განრიგის, სახელფასო ფონდის დამტკიცება და ასოციაციის პრეზიდენტის, აღმასრულებელი დირექტორის და სხვა დაქირავებულ პირთა ხელფასების, სამივლინებო და სხვა ხარჯების ოდენობის დადგენა; ტ. სამართლებრივი რეფორმების კომიტეტის მიერ მომზადებული ასოციაციის შინაგანაწესის და სხვა შიდა რეგულაციების, დებულებებისა და დოკუმენტების დადასტურება და ასოციაციის პრეზიდენტისთვის წარდგენა, საბოლოო დამტკიცების მიზნით;

უ. ასოციაციის მუდმივი და დროებითი კომიტეტების შექმნა და მათი საქმიანობის წესის დამტკიცება;

ფ. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წესდებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

ქ. განსაზღვრავს ასოციაციის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პოლიტიკას, შეიმუშავებს დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც განხორციელდება საქველმოქმედო და სხვა მიზნებისთვის ასოციაციის მიერ შეძენილი და გამოყოფილი ფულადი სახსრებისა და მატერიალური რესურსის ხარჯვა;

ღ. ასოციაციის წევრობის საწევრო გადასახადის ფიქსირებული ოდენობის და მისი გადახდის წესის დადგენა;

ყ. საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობა და საერთაშორისო კავშირების განმტკიცება; შ. სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობა, დარგის განვითრების მიზნით და მოთხოვნისა და საჭიროების შესაბამისად;

ჩ. დარგის განვითრების და პოპულარიზაციის მიზნით ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება და მონაწალეობის მიღება.

5.19. მმართველთა საბჭოს წევრის ვადაზე ადრე გათავისუფლების უფლება აქვს წევრთა საერთო კრებას, პრეზიდენტის მიმართვის საფუძველზე, ეთიკის კომისიის ან ასოციაციის წევრების ინიციატივით. მმართველთა საბჭოს წევრის გარიცხვის საფუძველს შესაძლოა წარმოადგენდეს: ა. წესდებისა და/ან შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა;

ბ. ასოციაციის წევრის სტატუსის ნებისმიერი საფუძვლით დაკარგვა;

გ. ასოციაციის ან მისი ცალკეული წევრის მიმართ რეპუტაციის შემლახველი ქმედების განხორციელება;

დ. ასოციაციის შინაგანაწესითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

5.20. მმართველთა საბჭოს წევრს არ აქვს უფლება ასოციაციის ეგიდით ან/და დაფინანსებით გამართულ ღონისძიებებზე, სატელევიზიო გადაცემებში, ინტერვიუებში და სარეკლამო აქტივობები გამოიყენოს და რეკლამირება გაუწიოს თავის კომპანიას, საკუთარ ბიზნეს საქმიანობას, ან იმ კომპანიას, სადაც ის მუშაობს მისი მმართველთა საბჭოს წევრობის განმავლობაში.

მუხლი 6. ასოციაციის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

6.1. ასოციაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია პრეზიდენტი. 6.2. ასოციაციის პრეზიდენტი ფარული კენჭისყრის საფუძველზე აირჩევა საერთო კრების მიერ 2 (ორი) წლის ვადით.

6.3. ასოციაციის პრეზიდენტად პირი შესაძლოა არჩეულ იქნეს ზედიზედ არაუმეტეს ორი ვადით, ამის შემდგომ ვალდებულია გამოტოვოს ერთი არჩევნები, რის შემდგომაც მას კვლავ ეძლევა არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

6.4. ასოციაციის პრეზიდენტის მიერ გადადგომის ან ვადაზე ადრე თანამდებობიდან განთავისუფლების შემთხვევაში მის მოვალეობებს ახორციელებს აღმასრულებელი დირექტორი, ასოციაციის ახალი

პრეზიდენტის არჩევამდე.

6.5. პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე მოთხოვნებს: ა. უნდა იყოს 30 (ოცდაათი) წლის ასაკს მიღწეული პირი;

ბ. უნდა ჰქონდეს სულ მცირე ბაკალავრის ხარისხი;

გ. უნდა იყოს ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი და არ უნდა ჰქონდეს საწევრო დავალიანება; დ. სრულყოფილად უნდა ფლობდეს ქართულ ენას;

ე. ორმაგი მოქალაქეობის ფლობის შემთხვევაში, სავალდებულოა პირი დაბადებული იყოს საქართველოში და ბოლო 5 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობდეს საქართველოს ტერიტორიაზე;

ვ. ევროკავშირის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე, რომელიც ბოლო 5 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობს საქართველოში;

ზ. უნდა ჰქონდეს ორგანიზაციის მართვის გამოცდილება;

თ. უნდა ფლობდეს საჯარო გამოსვლების ხელოვნებას, ორატორულ და კომუნიკაციის უნარებს; ი. კანდიდატურის წარდგენისას არ უნდა იყოს უნდა იყოს სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტი.

6.6. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში ასოციაციის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას. პრეზიდენტი თავის ხელმძღვანელობით უფლებამოსილებას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესდებისა და შინაგანაწესის (ასეთის არსებობისშემთხვევაში) შესაბამისად.

6.7. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს ასოციაციის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. პრეზიდენტს აქვს ასოციაციის ერთპიროვნულად წარმომადგენლობის უფლებამოსილება.

6.8. ნებისმიერი საკითხი, რომელიც არ განეკუთვნება საერთო კრებისა და მმართველთა საბჭოს უფლებამოსილებას, უნდა გადაწყდეს პრეზიდენტის მიერ დამოუკიდებლად. 6.9. პრეზიდენტი ასოციაციის სახელით ახორციელებს შემდეგ უფლებამოსილებებს: ა. მოქმედებს ასოციაციის სახელით, წარმოადგენს მას ყველა დონეზე და ყველა საკითხში ქვეყნის შიგნით და მის საზღვრებს გარეთ;

ბ. მმართველ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ასოციაციის საქმიანობის პროგრამებსა და პროექტებს;

დ. აღმასრულებელი დირექტორის მეშვეობით წარმართავს ასოციაციის საქმიანობას, უზრუნველყოფს და ზედამხედველობს მმართველთა საბჭოს გადაწყვეტილებების დროულ და ჯეროვან შესრულებას;

ე. ხსნის ასოციაციის საბანკო ანგარიშებს, ხელს აწერს საფინანსო დოკუმენტებს, ასოციაციის სახელით დებს ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს, იძენს და არეგისტრირებს ასოციაციის ქონებას მმართველთა საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად;

ვ. გასცემს მინდობილობებს მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების დელეგირების მიზნით; ზ. მმართველთა საბჭოს წარუდგენს ახალ საკადრო პოზიციასა და კანდიდატურას, ასევე აუცილებელი საკადრო შტატის, პოზიციის, ანაზღაურებისა და შრომითი ურთიერთობების დამატებით პირობებს და ზოგადად წყვეტს საკადრო საკითხებს;

თ. უფლებამოსილია გამოვიდეს სასამართლოში ასოციაციის, როგორც მოსარჩელის/მოპასუხის წარმომადგენლად;

ი. იღებს გადაწყვეტილებას ორგანიზაციის გაწევრიანებაზე სხვა იურიდიულ პირებში ან მის პარტნიორად/დამფუძნებლად შესვლაზე.

კ. მმართველთა საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს ასოციაციის შინაგანაწესს და სხვა შიდა რეგულაციებს, დებულებებსა და დოკუმენტებს.

6.10. პრეზიდენტს აქვს ვეტოს უფლება მმართველთა საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, თუკი იგი არ ეთანხმება ამგვარ გადაწყვეტილებებს და მიიჩნევს მათ ასოციაციის საზიანოდ, მიზნის შეუსაბამოდ ან ნებისმიერი სხვა მიზეზით, მიზანშეუწონლად. პრეზიდენტის მიერ ვეტოს უფლების გამოყენების შემთხვევაში, პრეზიდენტი იწვევს ასოციაციის საერთო კრებას და საკითხიგანსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა საერთო კრებას.

6.11. პრეზიდენტი უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ ის მოქმედება, რომელიც ემსახურება ასოციაციის მიზნებს და არ აყენებს მას ზიანს. იგი ვალდებულია ასოციაციის საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერად. ამ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი ასოციაციის წინაშე პასუხისმგებელია წარმოშობილი ზიანისათვის. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმა ბათილია, თუ ეს აუცილებელია მესამე პირთა

მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. პრეზიდენტის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება შეიძლება შეიზღუდოს წესდებით.

6.12. პრეზიდენტს უფლება აქვს გადადგეს თანამდებობიდან. ამ შემთხვევაში, იგი ვალდებულია დაიცვას ასოციაციის წესდება და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და პროცედურები. ასოციაციის პრეზიდენტის გადადგომის ან/და მისი უფლებამოსილების ვადაზე ადრე, ნებისმიერი სხვა მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში, ინიშნება რიგგარეშე საერთო კრება ახალი პრეზიდენტის არჩევის მიზნით.

6.13. პრეზიდენტს არ აქვს უფლება ასოციაციის ეგიდით ან/და დაფინანსებით გამართულ ღონისძიებებზე, სატელევიზიო გადაცემებში, ინტერვიუებში და სარეკლამო აქტივობები გამოიყენოს და რეკლამირება გაუწიოს თავის კომპანიას, საკუთარ ბიზნეს საქმიანობას, ან იმ კომპანიას, სადაც ის მუშაობს მისი ასოციაციის პრეზიდენტობის განმავლობაში.

6.14. ასოციაციის ყოველდღიური საქმიანობის მართვისა და ორგანიზების მიზნით პრეზიდენტი უფლებამოსილია, მმართველთა საბჭოსთან შეთანხმებით, არაუმეტეს 1 (ერთი) წლის ვადით დანიშნოსაღმასრულებელი დირექტორი, რომელიც უზრუნველყოფს „ასოციაციის“ საქმიანობას და მასთან დაკავშირებული პროექტების შესრულების ზედამხედველობას და პროცესების მართვას.

მუხლი 7. ეთიკის კომისია

7.1. ეთიკის კომისია დამოუკიდებელია და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე წესდებისა და პროფესიული ეთიკის ნორმების საფუძველზე. 7.2. ეთიკის კომისია შედგება არა ნაკლებ 5 (ხუთი) წევრისგან.

7.3. ეთიკის კომისიის წევრებს 3 (სამი) წლის ვადით ირჩევს ასოციაციის საერთო კრება. ეთიკის კომისიის წევრებად არჩეულად ითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას.ეთიკის კომისია თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით, 2 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს.

7.4. ეთიკის კომისიის წევრობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ა. უნდა იყოს 30 (ოცდაათი) წლის ასაკს მიღწეული პირი;

ბ. უნდა ჰქონდეს სულ მცირე 5 (ხუთი) წლიანი პროფესიული გამოცდილება;

გ. ეთიკის კომისიის წევრი შესაძლოა აგრეთვე იყოს ასოცირებული წევრი, რომელიც დამატებით სარგებლობს მაღალი საზოგადოებრივი რეპუტაციით და არის თავისი სფეროს გამორჩეული სპეციალისტი.

7.5. ეთიკის კომისიის კომპეტენციაა შეამოწმოს/შეისწავლოს შემოსული ინფორმაცია, საბროკერო საქმიანობის განმახორციელებელთა შორის არსებულ გადაცდომებზე, რომლებიც არღვევენ ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სამუშაო პრაქტიკის ნორმებს. შეისწავლოს მისი საფუძვლიანობა და მხოლოდ ამგვარი ფაქტების დადასტურების შემთხვევაში გადაწყვიტოს დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

7.6. ეთიკის კომისიის წევრის ვადაზე ადრე გათავისუფლების უფლება აქვს წევრთა საერთო კრებას, პრეზიდენტის მიმართვის საფუძველზე, წევრების ან მმართველთა საბჭოს წევრთა ინიციატივით. ეთიკის კომისიის წევრის ვადაზე ადრე გათავისუფლების საფუძველს შესაძლოა წარმოადგენდეს: ა. წესდების და/ან შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა;

ბ. ასოციაციის წევრის სტატუსის ნებისმიერი საფუძვლით დაკარგვა;

გ. ასოციაციის ან მისი ცალკეული წევრის (როგორც სრულუფლებიანი, ისე ასოცირებული) მიმართ რეპუტაციის შემლახველი ქმედების განხორციელება;

დ. ასოციაციის შინაგანაწესითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

მუხლი 8. ასოციაციის სამართლებრივი ფორმის შეცვლა, რეორგანიზაცია, შერწყმა და ლიკვიდაცია

8.1. დაუშვებელია ასოციაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა. დაყოფა და გაერთიანება (შერწყმა) წარმოებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ასოციაციის ლიკვიდაცია ხორციელდება მეწარმე სუბიექტის ლიკვიდაციისათვის/რეორგანიზაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. 8.3. ასოციაციის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, ასევე, ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება.

8.4. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს კრედიტორთა მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს დამფუძნებლის/დამფუძნებელთა საერთო კრების მიერ განსაზღვრულ ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს.

8.5. გადაწყვეტილება ასოციაციის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება ასოციაციის ლიკვიდაციის დაწყების შესახებ ინფორმაციის რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

8.6. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს მმართველთა საბჭო. ასოციაციის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ: ა. იგი ხელს შეუწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას; ბ. იგი ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს; გ. ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

8.7. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება დამფუძნებლებს, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შორის.

8.8. თუ მმართველთა საბჭომ არ განსაზღვრა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო ასოციაციის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ ორგანიზაციას. თუ ასეთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არ არსებობს ან შეუძლებელია მისი გამოვლენა, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

8.9. სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ასოციაციის ლიკვიდაციას ახორციელებს (ახორციელებენ) სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები). აკრძალულია ასოციაციის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

9.2. ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა გავლენას არ მოახდენს წესდების სხვადებულებების ნამდვილობაზე.

უფლებამოსილი პირი:

/_____/